

მტკვრის ფორლანდის დასავლეთი ნაწილის სტრუქტურული მოდელი
(მდ.მდ. ქსნის და არაგვის მონაკვეთი)

თამარ შიხაშვილი

ელ-ფოსტა: Tamar.shikhashvili112@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

ანოტაცია

დასავლეთ მტკვრის ფორლანდური აუზის (საკვლევ ტერიტორია) სამკუთხა ზონის გეომეტრიის დასადგენად, სეისმური ინტერპრეტაცია პროგრესული კინემატიკური მოდელირებით განხორციელდა. კინემატიკური მოდელირება დაფუძნებულია ანალოგიური ექსპერიმენტებზე. კვლევა ჩატარდა საველე დაკვირვებების, ჭაბურღილების და სეისმური მონაცემების ინტეგრირებით. აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის და დასავლეთ მტკვრის ფორლანდის ფრონტული შეცოცების მიმართებაზე, ინტერპრეტირებულ სეისმურ პროფილებზე, აღინიშნება სტრუქტურული ცვალებადობა, რაც გავლენას ახდენს ნაოჭების გეომეტრიაზე.

ბიწმენდის რღვევა-გავრცელებადი ნაოჭი, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ეტაპობრივად გადადის სოლის სტრუქტურაში და წარმოდგენილია სამკუთხა ზონით.

სეისმური პროფილების ინტერპრეტაციის შედეგები სრულიად ემთხვევა ანალოგიური სამკუთხა ზონების მოდელს. ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი გვეხმარება სტრუქტურების კინემატიკური ევოლუციის უკეთ გააზრებაში და სეისმური ინტერპრეტაციის გაუმჯობესებაში.

სამკუთხა ზონა, რომელიც განვითარებულია ბიწმენდის რღვევა-გავრცელებადი ნაოჭის დასავლეთ ნაწილში, დაკავშირებულია რღვევა-გაღუნული ნაოჭის სტრუქტურულ ორმაგ სოლებთან და ხასიათდება პასიური და აქტიური სოლების, პასიური ზურგის შეცოცების და პასიური წინა შეცოცების არსებობით.